



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ია ანთაძე: „ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი“

გაზეთი „ალიონი“



საბაზილურ ანთაძეზე შეხვედრა მასიური ხასიათი მიიღო. მდიდრის ხელისუფლების ფლობაშია პირობა უფრო გაზარდოს საბაზილური ანთაძის კონფიდენციალური ინფორმაცია. საარჩევნო კანონით, არსებობს უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო და განსარტობი პროგრამების გაღწევა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რა პროცენტით უპასუხა საბაზილური სიპრეზიო საბაზილო ტელევიზიონს, ცხადი ხდება, რომ „მასტერის“ პრინციპი უპატიურად არ იმუშავებს და საარჩევნო პროცესს დაიბნელებს. „მასტერის“ პრინციპი უპატიურად არ იმუშავებს და საარჩევნო პროცესს დაიბნელებს. „მასტერის“ პრინციპი უპატიურად არ იმუშავებს და საარჩევნო პროცესს დაიბნელებს.

ეს კი მათთვის კატასტროფა იქნება. თუ „მასტერის“ პრინციპი იმას ნიშნავდა, რომ საკაბელო ტელევიზიებმა ყველა ტელევიზიის მფლობელთა უნდა გააერთიანონ, მმართველი პარტია რომ ხარ, და ამბობ, რომ „მასტერის“ პრინციპი უზრუნველყოფს იმას, რომ უპრეცედენტოდ მაღალი გაქვს ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, მაშინ რატომ არ გინდა თეფში. ე. ი. ან გინდა ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს, ან არ გინდა. ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი, ამას ადასტურებს ის ომი, რომელიც ამჟამად „მასტერის“ წინააღმდეგ გამოცხადდა. რა შეიძლება იყოს ამის შედეგი: რა თქმა უნდა, „მასტერის“ არ აპირებს ვარიანტების გადახდას და როგორც მაშუკა ლლონტი აცხადებს, ის ინიციატივას ევროპულ სასამართლოში და მოივებს იქ საქმეს, მაგრამ სინამდვილეში დაძაბულობა მატულობს ქვეყანაში. ყოველი ასეთი განცხადება ნიშნავს იმას, რომ თითოეული მოქალაქე არის იძულებული აირჩიოს, ამას დაუჯეროს თუ იმას დაუჯეროს. ფაქტობრივად ამ ბრძოლაში ჩათრეული არიან მხარეები, რომლებიც არ არიან პარტიულები. თუ პარტიული მხარე არ არის „მასტერის“ და მას უყურებენ, როგორც პარტიულ მხარეს, გამოდის, რომ ორი პარტიული მხარე კი არ ებრძვის ერთმანეთს, არამედ ხელისუფლება და საპროტესტო მოძრაობა. ამ საპროტესტო მოძრაობაში უკვე ხვდება ყველა, რომელიც ბუნებით სრულიად არ არის მეპროტესტე, მაგრამ იძულებულია, რაღაც მხარე დაიკავოს ამ დაპირისპირებაში, რომელშიც არაპარტიული მხარეები ძალიან არიან ჩათრეული. ეს ძალიან ცუდია, რაც არის შედეგი ამ თეფშითან ბრძოლის. მე იმის მეშინია, რომ ხელისუფლების და საპროტესტო მოძრაობის დაპირისპირება რამდენადაა შესაძლებელი, რომ მშვიდობიანი ფორმით წავიდეს და რომელიმე მხარის გამარჯვებით დაითავრდეს, ოღონდ მშვიდობიან და წყნარ სიტუაციაში და მხოლოდ არჩევნების გზით. ეს არის მთავარი, რომ საქართველოში შენარჩუნდეს მშვიდობიანი პოლიტიკური პროცესი.

გურიის მაგალითზე თუ ავიდებით, საკაბელო ტელევიზიით ინფორმაციას იღებს მოსახლეობის მცირე პროცენტი, ამიტომ „მასტერის“ პრინციპით დიდად არ გაუმჯობესდება მოსახლეობისგან ალტერნატიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა..

ის რაც დაფარავს მოსახლეობის 2 პროცენტს, ხელისუფლებისათვის მისაღებაა, ხოლო რაც დაფარავს დაკუმულად 50 პროცენტს — მიუღებელი (?!). გურიის მოსახლეობას ნაკლებად აქვს სატელევიზიო ანტენები დადგმული, ვიდრე სხვა რეგიონის მოსახლეობას, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთს.

გურიის მაგალითზე თუ ავიდებით, საკაბელო ტელევიზიით ინფორმაციას იღებს მოსახლეობის მცირე პროცენტი, ამიტომ „მასტერის“ პრინციპით დიდად არ გაუმჯობესდება მოსახლეობისგან ალტერნატიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა..

ის რაც დაფარავს მოსახლეობის 2 პროცენტს, ხელისუფლებისათვის მისაღებაა, ხოლო რაც დაფარავს დაკუმულად 50 პროცენტს — მიუღებელი (?!). გურიის მოსახლეობას ნაკლებად აქვს სატელევიზიო ანტენები დადგმული, ვიდრე სხვა რეგიონის მოსახლეობას, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთს.



ზვიად კვაჭანტირაძე: „საქართველოს გადაარჩინა ამ არჩევნებზე და მოკიდებული“

ინტერვიუ „ქართული ოცნება-ოპოზიციის“ დემოკრატიის მაშორითარი დემოკრატიის კანდიდატ ზვიად კვაჭანტირაძესთან

წუგზარ ასათიანი

—ბატონო ზვიად, ჩვენი ინტერვიუ თქვენი ბიოგრაფიით დაიწყო. რა გზა გაიარეთ, ვიდრე პოლიტიკაში მოხვდიდით?

—1965 წლის 7 მაისს დაიბადე ქ. ოზურგეთში. მეორე საჯარო სკოლის დაწყებითების კორპუსის ეზოში ხის სახლი იდგა და იქ ვცხოვრობდით. შემდეგ იქვე მახლობლად მშობლებმა ახალი სახლი ააშენეს და იქ გადავიდით. იმდენად ახლოს ვიყავი სკოლასთან, ხშირად დიდ დასვენებაზე მეგობრებთან ერთად სახლში მივდივდი.

დღიდან დღისგან, სკოლის დამთავრებამდე ცნობილი ხელოვნის მიხედვით შვიშვილის „კრიმინალში“ ვმუშავდი. ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა. დღემდე მჩაბრებიან ჩემი მასწავლებლები და მეგობრები.

1982 წელს დაგამთავრე ქ. ოზურგეთის №2 საშუალო სკოლა. როგორც ჩანს, მაშინ, ვერ კიდევ იმდენად დამოუკიდებელი არ ვიყავი ჩემს გადაწყვეტილებებში და თბილისში არ წავიდი სასწავლებლად. მეგობრების გავლენით იაროსლავეში, სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე ისტორიისა და სამართლის ფაკულტეტზე. მაინც ვფიქრობ, რაღაც დამკლო იმან, რომ თბილისში არ ვსწავლობდი, მაგრამ ამის ახსნა ახლა ძნელია. სტუდენტობისას მომიწია საგადასმელი სამხედრო სამსახურში წასვლა. ვარში საქართველოში ვმსახურობდი.

როდესაც სამხედრო სამსახური დავასრულე, ეს ის პერიოდი იყო, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იღვივებდა. შეიქმნა რუსთაველის საზოგადოება. ამ საზოგადოებას თავდაპირველად ირაკლი აბაშიძე ედგა სათავეში, შემდეგ აკაკი ბაქრაძე, რომელსაც მივესალმებოდი. ის იყო დიდი მოღვაწე იმ დროისათვის, მე ვიყავი პირველი, რომელმაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩამოვყავი რუსთაველის საზოგადოება. იაროსლავეში ამ საზოგადოებაში 70 კაცი ვართ-იანდა. აქ არ იყო მარტო ქართველი სტუდენტები, არამედ იქ მცხოვრები ადამიანები, რომლებსაც ფესვები საქართველოში ჰქონდათ. მათ რიგებში იყო იქ მცხოვრებული ქართველი მწერალი ჰერბერტ ქემპლიტი.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია რომ მოხდა, გაგაპროტესტეთ და საოლქო კომიტეტის წინ იმ დროისთვის სერიოზული მასშტაბის აქცია გაემართეთ ტრანსპარანტებით. ჩვენს გვერდით იდგნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. ზოგიერთიანდაც მაქვს ურთიერთობა. იაროსლავეში შეხვედრა მოვუწვევე ჩვენს დიდ რეჟისორს თენგიზ აბულაძეს. დაგბრუნდი საქართველოში და ქ. თბილისში, არასამთავრობო ორგანიზაციაში დაიწყო მუშაობა. არასამთავრობო ორგანიზაციას „მეცნიერული კულტურის საერთაშორისო ცენტრი—მსოფლიო ლაბორატორია“ ჰქვიადა. მას სოსო ცისკარიშვილი ხელმძღვანელობდა.

შემდეგ —1992 წელს ქალბატონ მარიკა დარჩიას და ბატონი სოსოს თაოსნობით შეიქმნა საქართველოში პირველი პარა-ორგანიზაცია „საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრი“, რომლის ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი ვიყავი.

1993 წელს მესტრო ვანსულ კანძებ და მამატიკა მასთან და მოხუცა, დავხმარებოდი



მუსიკალური კულტურის ცენტრის სრულ რეორგანიზაციაში. ბატონ ვანსოსთან ერთად ვიყავი ამ ცენტრის თანამშრომელი.

შემდეგ გავიმარჯვე მრავალჯერაან კონკურსში, მოვიპოვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამთავრობო სტიპენდია და ორი წლის განმავლობაში ვსწავლობდი კარლ ლეისერის კოლეჯში ქალაქ კოლნში. 8 თვის განმავლობაში პრაქტიკა ვიყავი ქ. ბონში, ვერს-ს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

1996 წლის ზაფხულში დაგბრუნდი სამშობლოში. ეპოქობიდი სახელმწიფო კანცელარიის აპარატში, ტრანსპორტის სამინისტროში, სხვადასხვა დეპარტამენტების დირექტორის თანამდებობებზე.

2000 წლამდე ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიურად წევრიანდებოდა. მე ვიყავი ამ პროცესის მუდმივი მონაწილე. 2000 წლის მარტში 12 ქვეყანამ ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის სამთავრობათშორისო კომისიის შექმნის შესახებ, რომლის შტაბ-ბინის ადგილსამყოფელი ქ. ბაქოში გადაწყდა. თბილისში გამართულ კონფერენციაზე ამ კომისიის პირველ გენერალურ მდივნად აირჩიეს. 5 წელი ვიმუშავე ბაქოში.

ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მოწვევით 2004 წლის შემოდგომაზე დაგბრუნდი საგარეო საქმეთა სამინისტროში და ვერაპის საბჭოს სამართლებრივი უფროსად დაინიშნე. იმავე წლის დეკემბერში დაინიშნე სტამბოლში საქართველოს გენერალურ კონსულად, სადაც 2009 წლის ოქტომბრამდე ვიმუშავე.

—მართალია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ ყოფილხართ, მაგრამ ახლოს იყავით სამთავრობო ელიტასთან. რა კრიტიკული დამოკიდებულება გქონდათ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ?

—სამწუხაროდ ჩვენ ჩავებით ცუდ ომში რუსეთთან, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. თანდათან რაც უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებდი, მიმავრდებოდა კრიტიკული განწყობა. ამას აღარ ვშავავდი და დიდად ვაფიქსირებდი ჩემს დამოკიდე-

სამწუხაროდ ჩვენ ჩავებით ცუდ ომში რუსეთთან, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. თანდათან რაც უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებდი, მიმავრდებოდა კრიტიკული განწყობა. ამას აღარ ვშავავდი და დიდად ვაფიქსირებდი ჩემს დამოკიდე-




7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +18+27 16 ივლისი ორშაბათი	მზე, ღრუბლიანი +17+27 17 ივლისი სამშაბათი	მზე +19+27 18 ივლისი ოთხშაბათი	მზე +22+30 19 ივლისი ხუთშაბათი	მზე +22+32 20 ივლისი პარასკევი	მზე, ღრუბლიანი +17+24 21 ივლისი შაბათი	მზე, ღრუბლიანი +16+24 22 ივლისი კვირა
-----------------------------------	----------------------------------------------	-----------------------------------	-----------------------------------	-----------------------------------	-------------------------------------------	------------------------------------------

პროფესიონალი და მოქალაქე ჟურნალისტები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი პროფესიონალი და მოქალაქე ჟურნალისტებისათვის საქართველოს II ქალაქში პროექტს ახორციელებს, რომლის მიზანი მათი საარჩევნო პროცესში ჩართვაა.



ჩვენ საქართველოს II ქალაქში 1320 მოქალაქეს შევხვდით პირადად და შევთავაზეთ თანამშრომლობა იმისთვის, რომ მათ გამოვევგზავნოთ ინფორმაცია რაც ხდება საქართველოში. თუ ეს ინფორმაცია (ფოტო, ვიდეო, აუდიო) იქნება სანდო, ჩვენ მას ავანაზლაურებთ. ჩვენ გვინდა საქართველოში მშვიდობიანი არჩევნები ჩატარდეს რასაც ინფორმირებულობა დიდად შეუწყობს ხელს, და ამაში თავისი წვლილი თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეიტანოს. წინა არჩევნების დროს გურიის რეგიონი არ იყო ჩართული ამ პროექტში. შემდეგ გურიიდან გაცილებით მეტი ინფორმაცია მივიღეთ, ვიდრე იმ

რეგიონებიდან, რომლებიც პროექტში მონაწილეობდნენ. ამჟამად გურია (ლანჩხუთი, ოზურგეთი) ჩართული არიან ამ პროექტში, რომლის ფინანსური მხარდაჭერი გაეროს განვითარების ფონდიდან — განაცხადა საქართველოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედრაზე პროექტის ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა **ია ანთაძემ**.

ია ანთაძე: „ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი“

ამას ამ რეგიონის გეოგრაფიული მდგომარეობაც განაპირობებდა და ხალხმა თავის დროზე შეიძინა ანტენები და მოსახლეობა მისთვის სასურველი არხის გადაცემას უყურებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სატელევიზიო ანტენის მფლობელი მაინცდამაინც „მაესტროს“ ან მე-9 არხს შეხედავს. თუ მოსახლეობა უყურებდა „იმედს“, ის მაინც შეხედავს „იმედს.“ გასართობ პროგრამებზე ხალხი არის მიჯაჭვული. ხელისუფლებას იმის ეშინია, რომ ვაითუ „ნანუკას შოუსზე“ უფრო საინტერესოდ მოეჩვენოს მოსახლეობას სხვა პოლიტიკური შოუ. იმდენად ცოტა დროა დარჩენილი არჩევნებამდე, რომ ტელევიზიონის პულტის გადართვა ასე არ ხდება. ესეც ხელისუფლების სასარგებლო მოქმედებაა, მაგრამ მაინც იბრძვის ბოლომდე, რომ ანტენები არ იყოს. ყოველივე ამას იგი საფრთხეს უკავშირებს.

ასეთი რაოდენობის ადამიანები ქუჩაში არ გამოვა.

მე არ ვამბობ, კვლევის შედეგში გადასწორებს, უბრალოდ აღვამიანებო არ არიან განწყობილი იმისათვის, რომ სოციალური კვლევების ჩამატარებულს გული გადაუშალონ თავიანთ პოლიტიკურ შესაძლებლობებზე, რომლებსაც მათ ამის გაყოფაში იმპობა პარტისებრი შიშით.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანებს სამსახური დაუკარგავთ. ამ მხრივ, განსაკუთრებით სკოლებშია რთულად საქმე.

თუ აღვამიანი კვლევის დროს არ ამბობს, თუ რომელი პარტიას უჭმარს მხარს, მაგრამ შემდეგ გადის აქციონარზე, კვლევის შედეგები ძალიან უხარბურთადაა გაყვანილი.

ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ორგანიზაციას უნდა, რომ არჩევნების შედეგი გააყვანოს, მაგრამ არანაირი ნიშანწყალი არ არის საქართველოში, რომ ადამიანები რომელიმე ასეთი გამოკითხვისას, გულწრფელ პასუხებს იძლეოდნენ.

როგორ შეიძლება, „მაესტროს“ დაბრალი, რომ იგი პოლიტიკურ პროცესში საფრთხის შემცველია, რომ მოისყიდოს ადამიანები და ა.შ. ტელევიზიის უნდა, რომ მეტმა ადამიანმა ნახოს მისი გადაცემები.
— რა შეფასებას მისცემდით საერთაშორისო კვლევების შედეგებს?
— როდესაც თქვენს, რომ ბიძინა ივანიშვილის შედეგი არის 10 პროცენტი, შემდეგ აქცობენ ანვენა, რომ 10-იანი მხარდაჭერის შემთხვევაში

საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ძირითადი ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ქმედებებს საგანგაშოდ მიიჩნევენ

საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია აღნიშნავს, რომ ორგანიზაცია აერთიანებს 213 წევრ ჟურნალისტს. ზეწოლისა და ძალადობის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში, სწორედ მათი წევრები არიან.
2012 წლის 12 ივლისს, კარაღეთში მომხდარი ინციდენტის დროს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, სხვა ჟურნალისტებთან ერთად დაშავდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა ჩვენს წევრს საბა წიწიკაშვილს. ფიზიკური და მატერიალური ზარალი მიადგათ „ინფო 9“-ს, მე-9 არხის და ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტებს: თამთა ილურიძეს, ეკა ილურიძეს, შორენა ხაბაძეს, ნოდარ რცხილაძეს, ნუკრი ბეგლარიშვილს, მამუკა ქეცხიშვილს, რეზო ნადირაძეს და ნინო ბოლასვილს.
მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადას-

ტურებს, რომ ჟურნალისტებს უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წარმომადგენლები მუდმივად ითხოვენ ხელისუფლების რეაგირებას ჟურნალისტთა მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და ძალადობის ფაქტებზე. ხელისუფლება კვლავ დუმს და არ დგამს ქმედით ნაბიჯებს.

ჟურნალისტების მიმართ მომხდარი თითოეული ფაქტის გამოუძიებლობა არის დაუსჯელობის სინდრომის წახალისება და ძალადობის ფაქტების გახშირების უშუალო მიზეზი.
ქარტია მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, დაიწონ გამოძიება თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით და საზოგადოებას წარმოუდგინონ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

თამარ კორკაია

„ხელოვნური წყალსაცავის გაკეთება ბახმაროში კლიმატს შეცვლის“

გაზეთი „ალიონი“

მდ. ბახვისწყლის ხეობაში ჰესების კასკადის მშენებლობის დადებით და უარყოფით მხარეებზე არაერთხელ ვწერდით. ამჯერად, „საზოგადოების“ წინაშე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში ბუნების დაცვის სპეციალისტი **რევაზ ჯანაშვილი** და მაღალი ძაბვის ხაზების სპეციალისტი **ანა ფირცხელაური** წარდგინეს. მათ პროექტი „სასაქართველო ელექტროგადამცემი ხაზი „ბახვის კასკადი“ წარმოადგინეს.



ამ განხილვას, რატომაც მხოლოდ ჟურნალისტები, გამგებების შედამხედველობის სამსახურის 2 თანამშრომელი და მთისპირის, ვაკე-ჯვრის და ცხემლისხიდის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები დაესწრნენ... სულ 12 კაცი(!)

როგორც ბატონმა რევაზ ჯანაშვილმა თქვა, მათი შეხვედრის მიზანი საზოგადოებისათვის „ბახვი-3“-დან ელექტროგადამცემი ხაზის „ბახვის კასკადი“, პროექტის გაცნობა იყო. 110 კვ. -იანი ხაზის მშენებლობას, 22 საყრდენი ბოძის დადგმას, დაახლოებით 13000 კვ. მეტრი სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეეწირება სოფ. ფამფალეთში და ცხემლისხიდი, ზარალის ღირებულებაც მოსახლეობას აუნაზღაურდება. თუ რაიმე დაზიანდება, რეკულტივაცია მოხდება და ბუნებას პირვანდელი სახე დაუბრუნდება.

„ბახვი 3“-ის მშენებლობა სექტემბერში უნდა დასრულდეს. მას ვერ მიიღებენ, თუ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა არ დასრულდება...“

შუძრი ბაბრიჩიძე: — რამდენადც გავიგეთ, ერთ-ერთ ფირმას ტენდერი მოგებული აქვს და სამუშაოები უნდა შესრულოს. შესრულებს იგი რეკულტივაციის სამუშაოებს?

რევაზ ჯანაშვილი: — როგორც ვითხარით, ეს პროექტში დღეს. უნდა შეასრულოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მუშები დროულად დასრულებენ ხელფასს.

გაზეთი „ალიონი“: — ამ მხრივ პრეტენზიები ჰქონდათ უშუალოდ ჰესის მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს...

ლალო ჩაგვლიშვილი (სოფ. მთისპირის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი): — იყო ფაქტები, მაგრამ დღეს ეს საკითხი მოგვარებულია.

გაზეთი „ალიონი“: — ვის ეკუთვნის ბახვის კასკადის წილები?

რევაზ ჯანაშვილი: — ჰესს თურქული კომპანია აშენებს, ოღონდ ყაზახია მაგის უფროსი. „ბახვი-3“-ის ჰესზე 15 პროცენტი ქართველებს ეკუთვნით, დანარჩენი — უცხოელებს. ქართველთაგან 5 პროცენტს შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ“-ის გენერალური დირექტორი შამილ ბირკაძე, ასევე 5-5 პროცენტს სხვა კომპანიონები ფლობენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ბანკები მაღალ საპროცენტო განაკვეთით იძლევიან სესხს და იმწამსვე იწვებენ პროცენტის დარიცხვას, ხოლო უცხოეთის ბანკები დაბალი საპროცენტო განაკვეთით — 15 წლით იძლევიან სესხს, პირველ 5 წელს არ გახდებიან. მსოფლიო ბანკი 8 პროცენტში იძლევა სესხს.

ამის გაკეთება ქართულ ბანკებსაც შეუძლია, მაგრამ სხვაგვარი მიდგომა სჭირდება. ქართველი კაცი ნიჭიერია. ხელშეწყობის შემთხვევაში უკეთ ააშენებდნენ ჰესს და ბუნებასაც უკეთ მოეპყრობოდნენ, ვიდრე უცხოელები.

დღეს კვლავ მსჯელობენ „ბახვი-2“-ის პროექტზე. ასწონინ სათავე ნაგებობა ზევით თუ ა.შ.

გაზეთი „ალიონი“: — „ბახვი-1“-ის სიმძლავრე იმ ტბაზე იქნება დამოკიდებული, ბახმაროს მდამოებში რომ უნდა გააკეთონ?

რევაზ ჯანაშვილი: — მე პირადად ამის წინააღმდეგი ვარ. გამოიცხადოთ ტბის გაკეთება, რადგან იგი შეცვლის კლიმატს. მე ამის შესახებ განუცხადე პროექტის ავტორებს. ტბის გაკეთება არც ბახმაროში და არც სხვაგან შეიძლება. სვობს, ერთი-ორი თვით ნაკლები იმუშაოს ჰესმა, 1-2 მეგავატით ნაკლები მივიღოთ, ვიდრე ერთი გაგაკეთოთ და ათი გაგაუფუჭოთ!

ბახმაროს მისაღობობის 70-80 მეტრი სიმაღლის კაშხალი რომ ავაშენოთ, 3-4 კილომეტრი ტბის სარკვეს მქმნება სიბრძნე, სიბრძნე ალარაა ლაპარაკი. ვარაუდობინებთ ბახმაროში შიშველი კლიმატი და იმ ჰაერით, რომელითაც ამაყობს ბახმარო ალარ იქმნება.

ამჯერად სწავლობენ რა საფრთხის შემცველია კაშხალის მშენებლობა. კაშხალის გაკეთება გამოწვევის შემთხვევაში მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც არ არის საკურორტო ზონა.

თუ მდ. ბახვისწყალზე 4 ჰესს ავაშენებთ, 46 მეგავატამდე ელექტროენერგიას მივიღებთ. „ბახვი 4-ის“ აშენება რთული რელიეფის გამო არ მოხდება.

გაზეთი „ალიონი“: — არის თუ არა ჰესის მიმდებარე მოსახლეობისათვის რაიმე შედეგის გაწვევა ელექტროენერგიის საფასურის გადახდისას?

რევაზ ჯანაშვილი: — ვეიქრობ, ოზურგეთის რაიონის მოსახლეობას შედეგით უნდა მიეღოს ელექტროენერგია. ამაზე საუბარი ესტონელი ინვესტორის დროს იყო. შემდეგ რატომაც ესტონელმა ინვესტორმა გაყიდა ეს პროექტი. **როგორც ჩანს თურქულ ფირმასთან სხვა ხელშეკრულება დაიდო. ჩამოყალიბდა რომ იყოს დამოკიდებული, მოსახლეობას უფრო იაფად უნდა მიეღოს ელექტროენერგია.**

ოზურგეთის თეატრი გახსნის პ. ზუბლიძის გამართავს

ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი 22-25 ივლისს ქ. ზუგდიდში, შალვა რადიანის სახელობის თეატრის სცენაზე სამ სპექტაკლს გამართავს.

22 ივლისს სამეგრელოს მთავარი ქალაქის მაყურებელი ოთარ ბადათურას „მეფე ლირი ღარიბთა თავშესაფარში“ — იხილვას; 23-ში გურამ ბათიაშვილის „ლალი, სიყვარული და სხვები“, ხოლო გასტროლების დახურვაზე შალვა რადიანის „გუშინდელი“ იქნება წარმოდგენილი.

„ქალმა უკეთ უნდა დაინახოს თავისი შესაძლებლობები“

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოზურგეთის ოფისში გამართულ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ ხელმძღვანელმა ქეთევან ხიდაშელმა იმ პროექტის შესახებ ისაუბრა, რომელიც მათ განახორციელებს მიმდინარე პერიოდში. პროექტი „სოფლის ქალები ქალთა უფლებებისათვის“, რომლის მიზანი გახლდათ რეგიონში ქალთა უფლებების, ოჯახური ძალადობის პრობლემების გაზრდა და საზოგადოებრივი დამოკიდებულების შეცვლა ამ საკითხებთან მიმართებაში, რამდენიმე ეტაპად გაიმართა. პროექტის განმახორციელებელი ვაგუფი: ქეთევან ხიდაშელი, თეა ლომთათიძე, ქეთევან ლლონიძე, ირაკლი ლლონიძე. ერთ-ერთი წარმატებული ღონისძიება გახლდათ სოფ. დვბაშეში ჩატარებული ველოტური. რომლის მნიშვნელობაზე ისაუბრა თინათინ ლლონიძემ. იქვე აღინიშნა, რომ კარგი იქნება ეს ტური განხორციელებულიყო, რეზო ლლონიძის სახელობის.

აღინიშნა დვბაშეში ბიბლიოთეკის მნიშვნელობა და როლი, რომლის ინციატივითაც წარმოადგენილი არასამთავრობო ორგანიზაცია გახლდათ და რომელიც




სოფლის მოზარდთა აქტიური მონაწილეობით განხორციელდა.

ბევრი საინტერესო და კარგი ინიციატივისა და შესრულებისათვის მადლობა გადაუხადეს ქეთევან ხიდაშელს.

ნინო ვაგელიძე, პედაგოგი, შალვა რადიანის სახელობის მუზეუმის დირექტორი: – ეს ორგანიზაცია ქანი ქეთევანის ხელმძღვანელობით ბევრ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. მათი მუშაობა ბევრი ქალისთვის გახდა სტიმული, უკეთ დაინახოს თავისი შესაძლებლობები.

სამკლესიო, სამრო და სახალხო ზიმი „კვირიკობა“ ხელისუფლებამ მიიპიჭა

21 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოფ. კვირიკეთში, საუკუნის წინათ დანგრეული და მიწასთან გასწორებული წმინდა მოწამეთა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ტაძარი აღსდგა.



აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მას შემდეგ რაც ეკლესიაში მამა მათე (დეკანოზი მათე გორდელაძე) მოვიდა, მისი ძალისხმევით ეკლესია გაფართოვდა და უფრო კეთილმოეწყო. ტაძარი მთლიანად მოისატა, დამშენდა, უმოკლეს დროში სამრევლოც აშენდა. 21 წლის მანძილზე ამ ტაძარში ათასობით ადამიანი მონათლა, ვვარი დაიწერა. ხშირია ისეთი ფაქტები, როცა მლოცველები ტაძარში ვერ ეტყევა. ეს ყველაფერი მამა მათეს დამსახურებაა. იგი დღენიდავ იღვწის ჩვენს საკეთილდღეოდ და მისგან უდიდესი მადლი გადმოდის ჩვენზე, რათა თითოეულმა ჩვენთაგანმა განვიმტკიცოთ რწმენა, გავხლეო ნამდვილი ჭეშმარიტი აღმსარებლები, ეკლესიურები და თან გვემზინოთ ღმთისა და გვიყვარდეს ერთმანეთი.

„კვირიკის“ და ვაზეთ „ალიონის“ რედაქციებს...

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ ისტორიულ ფაქტს, რაც ჩვენმა წინაპრებმა დღემდე შემოგვინახეს, რომ თურქი ისინი საეკლესიო ზემოქმედებით, პარალელურად აღნიშნავენ საერო, საყოველთაო ზემოქმედებას „ამ ზემოქმედება არა მარტო კვირიკელები, არამედ მუხომბელი სოფლებიდან და ოზურგეთიდან ჩამოსული საზოგადოებაც მონაწილეობდა.

მინდა ორივე სიტყვით ვიამბოთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ეკლესიის მშენებლობის დროს გვერდით გვედგნენ. უპირველესად არქიმანდიტი მამა ნიკოლოზი (ღლონიძე) მინდა მოვისწვიო, რომლისგანაც ტაძრის აშენების კურთხევა მივიღეთ და მშენებლობისას გვერდით გვედგა მანამ, სანამ მშენებლობა არ დასრულდა.

მამა ნიკოლოზი პირველი მოძღვარი იყო ოზურგეთში, რომელმაც 70-წლიანი შესწავლის შემდეგ გამოავლინა ათასობით ადამიანი და დედა ეკლესიისაკენ მოაბრუნა, მათ შორის მეც გახლდით. 1991 წელს, როდესაც მშენებლობა დასრულდა, მამა ნიკოლოზმა კვირიკეთის ეკლესიას გადმოსცა საკურთხეველის მოწმობილია, მათ შორის ღვინისმზობის, უფლისა და სხვა დიდმოწამეთა სატყბი, რამაც ფაქტობრივად მოგვცა უდიდესი იმედი, რომ ეკლესია მოქმედი გახდებოდა. მართლაც ასრულდა კვირიკეთელების დიდი ხნის ოცნება და 1991 წლის 28 ივლისს, დიდი ზემოქმედებით გაიხსნა და დღემდე ფუნქციონირებს წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია.

ტაძრის გახსნისას პირველი მილოცვა ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტისაგან, მუჟევი კონსტანტინესაგან მივიღეთ. აქვე მინდა შევთხოვოთ უფალს, ვაძნობთელობა უკუსურვით მამა ნიკოლოზს, რომელმაც რამდენიმე რთული ოპერაცია გაიკეთა.

მინდა იმ ადამიანების სახელები შევასწავლო საზოგადოებას, რომლებიც მატერიალურად და ფიზიკურად გვეხმარებოდნენ ეკლესიის მშენებლობაში: ქალბატონი ეთერ ქაღვიშვილი, ბატონი კოკი ცეცხლაძე, თამაზ ლუმაბაძე, ვაჟა ვინჭარაძე, რევაზ ღლონიძე, რევაზ კურდელაშვილი, ავიანდლი ღლონიძე, ზურაბ თალაკვაძე, თენგიზ ვასაძე, ოთარ საგაია, ვიტალი ვაშაძე, უდიდესი პატივისცემით მოვისწვიოთ მშენებელთა ბრიგადის ბიჭიკო ბაბილოძის მეთაურობით; კუკური კვცამაძეს, ბახვა ლომინაძეს, ალოფსი ლომინაშვილს, იური ფასეიშვილს, ტარიელ ჩილობარგიას, თამაზ კალანდარიშვილს, რენო ურუშაძეს; ტელეკომპანია

ბოლშევიკებმა ეკლესიაც დაანგრეს და დღესასწაულებიც დაიწყეს მისცეს.

1991 წლიდან კვირიკეთელებმა ეკლესიის აღდგენასთან ერთად ადადინეს სახალხო დღესასწაული „კვირიკობა“ და იგი რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, მოსახლეობის დღევანდელი სოციალური მდგომარეობა ასეთი ღონისძიების მათი ხარჯებით ჩატარების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენ მივმართეთ გურიის გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს დახმარებისათვის, მაგრამ რამდენიმე წელია არ ხერხდება ამ ღონისძიებისათვის თანხის გამოხსნა.

წელსაც მივმართე მხარის პირველ პირს დახმარებისათვის. მან ჩემი წერილობითი თხოვნა თავისი რეზოლუციით მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაუგზავნა; მუნიციპალიტეტის გამგებელმა-მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს; საფინანსო სამსახურმა კულტურის სამსახურს და საბოლოოდ მივიღე დასკვნა, რომ უარი ეთქვათ დაფინანსებაზე (!).

სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება საეკლესიო და საერო ზემოქმედებით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მიერ თავის არიდება სოფლის ინტერესებისადმი, არასწორად მიმჩნია, არ ესაუბრობ იმაზე, რომ არც თუ იშვიათად, რა თანხები ისარგებდა ჩამოყვანილი ანსამბლების კონცერტებზე. იმდენი გამოეთქვათ, რომ გამოჩნდებოდნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც დავუხმარებდნენ, წელს მანც საეკლესიო დღესასწაულთან ერთად საერო ზემოქმედებას ჩავატარებ.

კვირიკობის მოქმედი ვაგუფის სახელით,
ჯამალ კეჭაყვამძე

„არტ-გენის“ ფესტივალი



ფოლკლორული ფესტივალი „არტ - გენი“ უკვე მე-9 წელია წარმატებით ტარდება. ამის ძირითად მიზნებს წარმოადგენს ქართული ფოლკლორის და სხვადასხვა ძირძველი ტრადიციების მოძიება და მათი პოპულარიზაცია. წლებიდანელი ფესტივალის თემა „ვაუფრობილი ოჯახს“.

10 ივლისს ფესტივალი „არტ - გენი“ 2012 - ის მე - 4 რეგიონალურ ტურს გურია მასპინძლობდა ჩოხატაურში, კერძოდ კი გორაბერეკოელის ტყე - პარკში წარმოადგინო იყო გურიის რეგიონის სიმღერის და ცეკვის ანსამბლები. რეწვა და ზეპირსიტყვიერება.

ოზურგეთიდან მონაწილეობდა მუნიციპალური კულტურის ცენტრთან არსებული

ფოლკლორული ანსამბლები: „შედეკაცა“, „ელესა“, „აილინი“, „ტრიო შალვა ჩემო“, „თსამ ვენასი შეგვიჭამა“, „ვოკალური ანსამბლი „მუნამაზნი“, ინსტრუმენტალური ანსამბლი „ედელვასი“, „ხალხური მოქმედი ძიმა ბაქანიძე და რუსიძეების მოძღვრალი ოჯახი.

ფესტივალის რეგიონალური ტური 12 ივლისს ფოთში, მალთაყვას ტყე - პარკში დასრულდა. 21 ივლისიდან 30 ივლისამდე „არტ - გენის“ შემჯავებული 9 დღიანი დასკვნითი ნაწილი კი ტრადიციულად თბილისში, ვ. ჩიტაიას სახელობის საქართველოს სურთიმოძღვრების და ყოფის საელმწიფო მუზეუმში გაიმართება

ინტელექტუალური თამაშები

მარი კომოვი

გასული კვირის პარასკევს IV საჯარო სკოლაში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“. მასში 26 გუნდი მონაწილეობდა. მონაწილეობა შეეძლო 30 წლამდე ასაკის მსურველებს. საუკეთესო შედეგების მქონე 10 გუნდს მოაზროვნების დიპლომები გადაეცათ. პირველ ადგილზე გავიდა ლიხაურის გუნდი „ატაგენუსი“; მეორეზე - ცხემლისხიდის „მღვების კარს“, ხოლო მესამეზე - შემოქმედის „ლოგოსი“.



პირველ ადგილზე გასულს გადაეცა ბრილის თასი. შესაბამისად გადაეცათ ფულადი ჯილდოც 250; 150 და 100 ლარის ოდენობით.

თამაშის ორგანიზატორი იყო მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახური. ფინანსური მხარდაჭერი მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა.

თამაშს დაესწრო გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი. მისი თქმით, მსგავსი თამაშები სამივე მუნიციპალიტეტში ჩატარდება, რომლისგანაც შეიკრიბება ერთი გუნდი, და რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის მასშტაბით გამართულ თამაშებში.

პატარა მსახიობები პატარა სცენაზე

ინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის ასალგაზრდა პედაგოგთა კამარში ხალხმრავალი დარბაზი პატარა მსახიობთა ოსტატობით რამდენიმეჯერ მოხიბდა. თეატრალური სეზონის საწარმოო ჩვენებაზე თეატრალური კლუბის (ხელმძღვანელი თათული მეღვინე) უმცროსმა თაობამ მარჩელი არჯილის, ლურსმანის თავგადასავალი წარმოადგინა. ხოლო მეორე ვაგუფმა ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“.

მათი მხატვრული მეტყველება, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნიმუშების მრავალფეროვნება, მსახიობური გარდასახვის უნარი, საკმაოდ მოზრდილ ტექსტთა საუკეთესო ცოდნა და რაც მთავარია ქარიზმა, მაყურებელთა მოხიბვლისა, გახდა სწორედ იმ აპოლონიანობის საფუძველი, სპექტაკლის მიმდინარეობისას, თუ დამოკიდებულების შემდეგ რომ გაიხიბა დარბაზში.

აქ ყველა შემსრულებელი ერთიანად იმსახურებდა უფალ ქებას. ჩვენ გავსაუბრეთ ლურსმანის როლის შემსრულებელს 6 წლის თაკო იონანს.

თაკო შემოქმედის საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლეა. – „სამი წელია აქ დავდივარ და ძალიან მომიწონს აქ ყოფნა. ტექსტის სწავლაზე ყველა მეს-

მარებოდა, მსწავლელები, დედა, ბებია... ძალიან კარგი სპექტაკლია, რადგან ბოროტებას სიკეთე აძრვავს“ – ამბობს. მართლმეორე ყველაზე მან თათული მსწავლელებს მოუბრინა, შემდეგ თავისი სკოლის დირექტორს, რომელიც იქვე გულშემატკივრობდა, გაუხიზარა თავისი ემოციები.

სპექტაკლის ბოლოს აქ ხელმძღვანელმა მარინა თიფურამ მადლობა გადაუხადა ბავშვებს ლამაზი დღისათვის და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა კლუბის წევრებს

